სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №11

ქ. ბოლნისი **10 აპრილი 2023 წელი**

ერთის მხრივ შპს „რიტუალური მომსახურების სააგენტო“ (ს/ნ 425359649) (შემდგომში “შემსყიდველი”), მისის წარმომადგენლის - დირექტორის **ნინო შეყილაძე** და მეორეს მხრივ, **შპს „გორგია“** (ს/კ 245621288) (შემდგომში „მიმწოდებელი“) **მისი მინდობილი პირი ქეთი ლომაძე** სახით „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის” მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტვებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ”ხელშეკრულება”) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი,

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია - შპს „რიტუალური მომსახურების სააგენტო-“სთვის:

1. სხვადასხვა სანტრასპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები.

კლასიფიკატორის კოდი: 34900000

2.ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **708,00 (შვიდასრვა)** ლარს.

CPV კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება
34928480	120 ლტ პოლიეთილენის სანაგვე ურნა ლურჯი	4	ცალი	155,00	620,00
34928480	ურნა 70 ლტ	1	ცალი	88,00	88,00
				ჯამი:	**708,00**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 . ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონელის მიწოდების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. დაფინანსების წყარო: <u>ადგილობრივი თვითმართველი ორგანოს ერთეული</u>

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონელის მიწოდების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „რიტუალური მომსახურების სააგენტო“ დირექტორი: ნინო შეყილაძე

5. ხელშეკრულების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბოლნისი. ს.ს. ორბელიანის ქუჩა N115. შპს „რიტუალური მომსახურების სააგენტო“

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 20 აპრილამდე

6 მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. **შემყიდველი ვალდებულია** ა)განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება. ინსპეტირებისა განახორციელებს შპს „რიტუალური მომსახურების სააგენტო“ დირექტორი ნინო შეყილაძე.

ბ) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებითა და პირობებით.

6.2. **მიმწოდებელი ვალდებულია:** ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
7.5. ხელშეკრულების 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 25 მაისამდე

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

შპს „რიტუალური მომსახურების სააგენტო" (ს/ნ 425359649) ქ. ბოლნისი. ს.ს. ორბელიანის N115
მომსახურე ბანკი : **სს „საქართველოს ბანკი"** ბანკის კოდი **BAGAGE22** ა/ა:**GE49BG0000000309059000**

"მიმწოდებელი"

შპს ,,გორგია" (ს/კ 245621288) ქ. თბილისი დიდუბის ქ.#140

მომსახურე ბანკი: **სს „თიბისი ბანკი" ა/ნ** GE62TBG1007536020100008

,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
შპს „რიტუალური მომსახურების სააგენტო" მის:**იურ. ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. #115** ს/ნ: **425359649** ბანკი: **სს „საქართველოს ბანკი"** ბანკის კოდი: **BAGAGE22** ა/ა:**GE49BG0000000309059000** **დირექტორი: ნინო შეყილაძე** Nino Shekiladze Digitally signed by Nino Shekiladze Date: 2023.04.10 18:45:35 +04'00'	**შპს ,,გორგია"** ქ. თბილისი დიდუბის ქ.#140 ს/ნ: 245621288 ბანკი: **სს „თიბისი ბანკი"** ა/ა: GE62TBG1007536020100008 მინდობილი პირი : ქეთი ლომაძე Ketevan Lomadze 26001015243 Digitally signed by Ketevan Lomadze Date: 2023.04.10 18:56:06